ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4555723

ნომერი: AR1688814

თარიღი : 18.06.2019

გაცემის თარიღი : 21.06.2019

გაცნობის თარიღი : 23.06.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი IV , კორპუსი N2ა; ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი IV , კორპუსი N2ა; ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი IV , კორპუსი N2ა; ქალაქი თბილისი , გამზირი ვაჟა-ფშაველა , კვარტალი IV , კორპუსი N2ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- საბა ფავლენიშვილი პ/ნ 01020007386
- თბილისი, კ.ქუთათელაძის 19

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ტქვეშნს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- საპროექტო პანდუსის მოწყობა უნდა განხორციელდეს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვარის № 41 დადგენილების გათვალისწინებით (იხ. დანართი). წარმოსადგენია პანდუსის ჭრილი დეტალური ზომების მითითებით. ასევე გაითვალისწინეთ, რომ როცა პანდუსის სიგრძე 8 მ-ზე მეტია, მაშინ უნდა მოეწყოს ბაქანი ყოველი 6 მეტრის შემდეგ სიგრძით 1,50 მ. პანდუსის ქანობი არ უნდა აღემატებოდეს 6% (განსაკუთრებულ შემთხვევაში 8%).
- საკადასტრო გეგმაზე დაიტანეთ საპროექტო პანდუსის ზუსტი განთავსების ადგილი.
- ვინაიდან პანდუსი ეწყობა საკადასტრო საზღვრების გარეთ ქალაქის ტერიტორიაზე, საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაცემული თანხმობა პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით და დაურთოთ თანდართული დანართი. ასევე გაითვალისწინეთ, რომ პანდუსის კვადრატულობა უნდა შეესაბამებოდეს დანართში მითითებულ კვადრატულობას.
- არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. წარმოდგენილ იქნეს მოსარგებლის წესდების თანახმად უფლებამოსილი პირის მიერ განმცხადებლის სახელზე გაცემული სათანადო წესით დამოწმებული და გაცემული მინდობილობა, რომელიც ითვალისწინებს მინდობილი პირის წარმომადგენლობას სამსახურში მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით. ასევე არ არის მისაღები მეიჯარის თანხმობა, ვინაიდან არ დგინდება მისი ხელმომწერი პირის უფლებამოსილება და არ ითვალისწინებს პანდუსის მოწყობაზე თანხმობას. წარმოდგენილ იქნეს განახლებული თანხმობა სათანადო წესით დამოწმებული მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებთან დაკავშირებით,ასევე შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს რეესტრში რეგისტრირებული სარგებლობის საფუძველი თუკი ითვალისწინებს წინასწარ თანხმობას ხელშეკრულება.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.